



საქართველო

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

დ.სტეფანწმინდა

N 19

11/09/2020

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შეზამისად:

მუხლი 1. 2020 წლის 31 ოქტომბერს გასამართ საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

- ა) დაბა სტეფანწმინდაში- ალ.ყაზბეგის მოედანზე მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია;
- ბ) გერგეტის უბანი- „რიტუალების სახლის“ მიმდებარე ტერიტორია;
- გ) სოფელი სნო- „რიტუალების სახლის“ მიმდებარე ტერიტორია;
- დ) სოფელი სიონი - „კულტურის სახლის“ მიმდებარე ტერიტორია და მგზავრთა მოსაცდელი ცენტრალურ გზაზე;
- ე) სოფელი არშა - ე.წ. „პურის საცხობის“ მიმდებარე ტერიტორია;
- ვ) სოფელ გარბნის გადასახვევი- მგზავრთა მოსაცდელის ტერიტორია;
- ზ) სოფელი გორისციხე - მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია;
- თ) სოფელი კობი - მგზავრთა მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია;
- ი) დაბა გუდაური- ყოფილი „ტურიზმის საინფორმაციო ცენტრისა“ და ყოფილი „ფოსტის“ მიმდებარე ტერიტორია;
- კ) მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების რკინის ბოძები;

ლ) საარჩევნო პლაკატების გაკვრა დასაშვებია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო ობიექტების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე;

მუხლი 2. საარჩევნო პლაკატებისა და სხვა ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გაკვრა აკრძალულია :

- ა) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საკულტო ნაგებობებზე;
- ბ) კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე;
- გ) მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობა-ნაგებობებზე;
- დ) სამხედრო შენაერთის, სასამართლოსა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერზე;
- ე) დაბა სტეფანწმინდაში ალ. ყაზბეგის ძეგლზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტეფანწმინდის ისტორიულ მუზეუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- ვ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ შინმოუსვლელთა ძეგლებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე;

მუხლი 3. ბეჭდვითი სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს:


შენობა-ნაგებობებზე და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში, გარდა ამავე განკარგულებით აკრძალული შენობა-ნაგებობებისა;

მუხლი 4. საარჩევნო პლაკატებისა და სტენდების გასაკრავად და გამოსაფენად ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისამართზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N 17-ში, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

გრიგოლ სეთურიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

